

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფოშესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. მარტვილი
2012 წელი

საკონკურსო განცხადება საპროექტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

1. მარტვილის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მასში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტია: მარტვილის მუნიციპალიტეტში აბაშის წყლის კანონის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 34000 ლარს დღგ გარეშე.

3. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.procurement.gov.ge);

საფასურის გადახდის დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ. გვერდზე გამოყენების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

შენიშვნა: დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4. საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

5. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში პირველ ეტაპზე უნდა წარმოადგინოს:

მომსახურების გაწევის ვადები და ეტაპები:

- ა) ობიექტის დასაგეგმარებელი კომპლექსის ზოგადი გენ-გეგმა, ობიექტებისა და ნაგებობების განთავსების ზუსტი ადგილების განსაზღვრით.
- ბ) დასაგეგმარებელ კომპლექსში შემავალი ობიექტებისა და შენობა-ნაგებობების ესკიზების ელექტრონული ვარიანტის (რენდერების) წარმოდგენა.
- გ) უნდა დამუშავდეს დოკუმენტი “მარტვილში აბაშის წყლის კანონის” ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებები (კონცეფცია) სადაც ზუსტად განისაზღვრება მარშრუტების ბილიკების ხიდეების და სხვა ზემოდჩამოთვლილი ობიექტების (შენობა-ნაგებობების) ადგილმდებარეობა და რაოდენობა. ეს სამუშაო უნდა შესრულდეს შესაბამისი სპეციალისტის მიერ. ზოგადი განმარტებითი ბარათის წარმოდგენა. (განმარტებით ბარათში უნდა იყოს აღწერილი პროექტირების ზოგადი პრინციპები, აგრეთვე ყველა გამოყენებული მასალების და შესასრულებელი სამუშაოების აღწერა-მიმოხილვა, უნდა შეირჩეს ტურისტული თვალსაზრისით ღირსშესანიშნავი ობიექტები, უნდა დაიგეგმოს მარშრუტი);

შენიშვნა: მომსახურების გაწევის ვადები და ეტაპების „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი ფიზიკური/იურიდიული პირები 2012 წლის 22 თებერვალს სასურველია გამოცხადდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტში შემდეგ მისამართზე: თავისუფლების ქ. #10, რომლის მიზანია დასაგეგმარებელი ტერიტორიის ადგილზე შესწავლა/დათვალიერება. რომლის შესახებაც ერთი დღით ადრე უნდა იყოს ინფორმირებული შემსყიდველი ორგანიზაცია.

(ტელ: 577 95 91 88 ირაკლი ციკოლია)

დ) პროექტანტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ამ პროექტზე მომუშავე გუნდის ჩამონათვალი.

- ე) საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნეს კონკურსანტის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გათალისწინებული გადასახდელებისა და მოსაკრებლების ჩათვლით, მხოლოდ დღგ-ს გარეშე ეროვნულ ვალუტაში;
- ვ) პუნქტი „ე“ არ ითვალისწინებს დღგ-ს.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი არის დღგ-ს გადამხდელი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მისი საკონკურსო წინადადების გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებული იქნება დღგ-ს თანხა.

- ზ) ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამისი ესკიზები და ფოტო მასალასთან ერთად);
- თ) ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ;
- ი) ინფორმაცია ანგარიშსწორების ვადების შესახებ;
- კ) რეკვიზიტები.

- 6. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება.
- 7. კონკურსი ჩატარდება 29 თებერვალს 15:00 საათზე.
- 8. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ქართულ ენაზე შედგენილი საკონკურსო პირობები უნდა წარმოადგინონ 29 თებერვალს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს დალუქულ კონვერტში შემდეგ მისამართზე: **ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10 მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.**
- 9. საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული პირობების შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **4** თვის ვადაში;
- 10. საკონკურსო წინადადების ყველა გვერდი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში საკონკურსო წინადადება არ განიხილება;
- 11. საფასურის გადახდის ქვითრის გარეშე და/ან დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და განუხილველად დაუბრუნდება წარმომდგენ პირს;
- 12. დაინტერესებულ პირებს, დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ მიმართონ საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს ირაკლი ციკოლიას, ტელ: 577 95 91 88 მისამართი: ქ. მარტვილი. თავისუფლების ქ. №10
- 13. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება 10 ბალიანი სისტემით:

- 1. არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი – 0.7
- 2. საკონკურსო წინადადების ფასი – 0.3

– **კომისიის წევრთა მიერ ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებულ ქულას.**

მონაცემები მარტვილში აბაშის წყლის კანიონის რეაბილიტაციის პროექტის შესაქმნელად გასაწევი მომსახურების შესახებ

I თავი

გასაწევი მომსახურების აღწერა-ჩამონათვალი:

შესასყიდი მომსახურება გულისხმობს:

1. საძიებო სამუშაოების შესრულებას მარტვილში აბაშის წყლის კანიონის ტერიტორიაზე;
2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას;
3. მომსახურებას ადგილობრივ სახელისუფლებო და კომუნალურ ორგანოებთან ურთიერთობაში.
4. მომსახურებას სამშენებლო კომპანიის შესარჩევი ტენდერის მიმდინარეობის დროს.
5. საავტორო ზედამხედველობის გაწევას მშენებლობის პერიოდში.

გაშიფვრა:

საძიებო სამუშაოები მოიცავს: საპროექტო ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიურ აგეგმვას და გეოლოგიურ კვლევას. ტოპო-გეოდეზიური კვლევა უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

- ობიექტის გლობალური სიტუაციური გეგმის დამუშავებას არსებულ აგეგმვებზე დაყრდნობით წვრილ მასშტაბში (1:5000 ან 1:10000);
- ლოკალური ტოპოგრაფიული გადაღებების შესრულება უშუალოდ შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილებში მსხვილ მასშტაბში (1:200 ან 1:500) შენიშვნა-აგეგმვებზე დატანილ უნდა იქნეს მყარი გეოდეზიური ნიშნულები ჯგუფ-კოორდინატთა სისტემაში ხოლო მისი შესაბამისი ფიზიკური წერტილები ჩამონოლითდეს ტერიტორიაზე. თითოეული აგეგმვისათვის განხორციელდეს მინიმუმ ორი წერტილის დამაგრება.
- ტოპოგრაფიულ გადაღებებზე დატანილ უნდა იქნეს არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციები (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
- კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წყალსატევებისათვის ჰიდროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების მოძიება.
- გეოლოგიური კვლევა ითვალისწინებს გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრას და სრული გეოლოგიური კვლევის ანგარიშების შედგენას უშუალოდ შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილებში. გეოლოგიური კვლევის მეთოდი განისაზღვროს შენობების სართულიანობის და საძირკვლებზე მოსალოდნელი დატვირთვების შესაბამისად მოქმედი პროექტირების ნორმების მიხედვით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია: სრულდება ორ სტადიად, პირველი სტადია - "ესკიზური პროექტი"-ს დამუშავება, მეორე სტადია - "მუშა ნახაზები"-ს დამუშავება. პროექტის პირველი სტადია "ესკიზური პროექტი" განიხილება როგორც მხოლოდ მუშა პროცესის აუცილებელი ნაწილი და არ არის შესასყიდი პროდუქტი, ხოლო საბოლოო შესასყიდ პროდუქტს წარმოადგენს "მუშა ნახაზები"-ს სტადიაზე დეტალურად დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

არქიტექტურული ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც საერთო გენერალური გეგმის ასევე ცალკეული ობიექტების ტერიტორიის ათვისების და ცალკეული შენობა-ნაგებობების შესახებ.
- ინფრასტრუქტურის კომპლექსის გენერალურ გეგმას წვრილ მასშტაბში;
- კომპლექსში შემავალი ობიექტების ტერიტორიის ათვისების გეგმები მსხვილ მასშტაბში (1:200 ან 1:500) ჰორიზონტალური მიზმების ჩვენებით მყარ გეოდეზიურ წერტილებთან.(ჯკს-კოორდინატთა სისტემაში)
- კომპლექსში შემავალი ობიექტების ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება და მიწის სამუშაოების კარტა, ასეთის არსებობის შემთხვევაში მასშტაბში (1:200 1:500)
- კომპლექსში შემავალი ობიექტების საფარის ტიპების გეგმა შესაბამისი ჭრილების ჩვენებით. საჭიროების შემთხვევაში არსებული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს მწვანე საფარის აღდგენის ღონისძიებებს (ეგრედ წოდებული დენდრო პროექტი).
- კომპლექსში შემავალი ობიექტების და ცალკეული შენობა-ნაგებობების სამ განზომილებიანი მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია (ეგრედ წოდებული რენდერები მაღალი რეზოლუციით)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ფასადები, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ფუნქციონალური გეგმები ავეჯის და ინვენტარის განლაგების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების დაკვალვითი გეგმები, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების გრძივი და განივი ჭრილები, მასშტაბი (1:50 ან 1:100). თითო შენობაზე უნდა დამუშავდეს მინიმუმ ორი ჭრილი.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების სახურავის გეგმები წყლის გადაყვანის ორგანიზების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების კედლებისა და ტიხრების მარკირების გეგმები მათი ტიპების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების იატაკებისა და ჭერების მოპირკეთების გეგმები მოპირკეთების ტიპების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების კედლების შიდა მოპირკეთების მარკირების გეგმები მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ღიობების შევსების მარკირების გეგმები და კარ-ფანჯრების ტიპები მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების არქიტექტურული დეტალებისა და კვანძების ნახაზები (კიბეები, მოაჯირები, სახურავის კვანძები და სხვა დეტალები) მასშტაბი (1:5, 1:10 ან 1:20)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ავეჯისა და ინვენტარის ესკიზები და ჩამონათვალი.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ინტერიერის მოსახვის ნახაზები(განშლები, კვანძები) და ინტერიერის სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია მაღალი რეზოლუციით.

კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- კონსტრუქციული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი რომელიც უნდა მოიცავდეს: ინფორმაციას, კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობებზე

(კონსტრუქციებზე მოქმედი მოსალოდნელი დატვირთვები, კონსტრუქციული სქემების აღწერა).

- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ქვაბულების გეგმები და პროფილები მასშტაბი (1:50 ან 1:100).
 - კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების საძირკვლების მარკირების გეგმები და საძირკვლების ტიპები, მასშტაბი (1:50 ან 1:100).
 - კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების მიწისზედა მზიდი კონსტრუქციების ნახაზები შერჩეული კონსტრუქციული სქემებისა და მასალის შესაბამისად, შენიშვნა-რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევაში ნახაზებს უნდა ახლდეს საარმატურე ფოლადის დეტალური სპეციფიკაციები, ლითონის კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევაში პროექტი უნდა ითვალისწინებდეს დეტალიზირებული ნახაზების (ეგრედ წოდებული კმდ სტადია) დამუშავებას.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების კონსტრუქციებში ხის მასალის გამოყენების შემთხვევაში პროექტი უნდა ითვალისწინებდეს კონსტრუქციული ელემენტებისა და მათი შეერთების საკონტაქტო დეტალების დაწვრილებით სპეციფიკაციებს.

ელექტრული ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- ელექტრული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც კომპლექსში შემავალ ცალკეულ ობიექტების ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების ელექტრული ქსელების შესახებ. (განმარტებით ბარათში მითითებული უნდა იყოს ობიექტებისა და შენობა-ნაგებობების დადგმული და მოთხოვნილი სიმძლავრეები და მათი უზრუნველყოფის გზები)
- კომპლექსში შემავალი ობიექტების შიდა სამოედნო ქსელების გეგმები.(ძალოვანი ქსელი, ტერიტორიის განათება, მეორადი დამიწების ქსელი)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების შიდა ძალოვანი ქსელების ნახაზები.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების შიდა განათების ქსელების ნახაზები.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ავარიული განათების ქსელების ნახაზები.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების მთავარი და სერვისული ელექტრო ფარების სქემები.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ავარიული კვების სისტემების სქემები. (საგენერატორო მეურნეობა, უწყვეტი კვების ბლოკები და ა.შ.)
- კომპლექსის გარე ელ ქსელების ნახაზები და სქემები.

სუსტდენიანი სისტემების ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- სუსტი დენების ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც კომპლექსში შემავალ ცალკეულ ობიექტების ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების სუსტდენიანი ქსელების შესახებ.
- კომპლექსში შემავალი ობიექტების შიდასამოედნო და შენობა-ნაგებობების შიდა ვიდეო-თვალთვალის ქსელების სქემები.
- კომპლექსში შემავალი ობიექტების შიდასამოედნო და შენობა-ნაგებობების შიდა სატელეფონო ქსელების სქემები.
- კომპლექსში შემავალი ობიექტების შიდასამოედნო და შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო და დაცვითი სიგნალიზაციის ქსელების სქემები.

- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების შიდა კომპიუტერული ქსელების სქემები.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების შიდა სატელევიზიო ქსელების სქემები.

სანტექნიკური ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- სანტექნიკური ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც კომპლექსში შემავალ ცალკეულ ობიექტების ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების სანტექნიკური ქსელების შესახებ. (განმარტებით ბარათში მითითებული უნდა იყოს ობიექტებისა და შენობა-ნაგებობებისათვის სასმელ და ტექნიკურ წყალზე მოთხოვნილი დღე-ღამური წუთობრივი და წამობრივი ხარჯი და მათი უზრუნველყოფის გზები)
- კომპლექსში შემავალი ობიექტებისათვის გარე წყალსადენის ქსელების ნახაზები.
- კომპლექსში შემავალი ობიექტების შიდა სამოედნო ქსელების გეგმები.(საკანალიზაციო ქსელი, ცივი და ცხელი წყალსადენის ქსელი)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების შიდა საკანალიზაციო ქსელების ნახაზები. (სამგანზომილებიანი სქემების ჩათვლით)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების შიდა ცივი და ცხელი წყალსადენის ქსელების ნახაზები. (სამგანზომილებიანი სქემების ჩათვლით)
- კომპლექსში შემავალი ობიექტების წყლის(სასმელი,ტექნიკური და სახანძრო საჭიროების შემთხვევაში) სამარაგო მეურნეობების ნახაზები.
- კომპლექსში შემავალი ობიექტებისთვის გამწმენდი ნაგებობების ნახაზები.

გათბობა, კონდიცირება, ვენტილაციის ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- გათბობა, კონდიცირება, ვენტილაციის ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, ცალკეული შენობებების გათბობა, კონდიცირება, ვენტილაციის სისტემების შესახებ. მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილება თბურ (სითბო, სიცივე) ენერგიაზე და შენობების თბო დანაკარგები/თბო შენაკადები.
- კომპლექსში შემავალი ობიექტებისათვის სითბო-სიცივით მომარაგების კვანძების სქემები.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სქემები და ნახაზები.(სამგანზომილებიანი სქემების ჩათვლით).

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, კომპლექსში შემავალი ობიექტებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო-მატერიალურ-შრომით რესურსებზე მშენებლობის მოთხოვნილების, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართზე მშენებლობის მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში ასევე უნდა მიეთითოს საჭირო უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვითი ღონისძიებების შესახებ.
- კომპლექსის ობიექტების სამშენებლო გენერალური გეგმები დროებითი შენობა ნაგებობების (სასაწყობე, საყოფაცხოვრებო, დროებითი გზები, წყალსადენი,ელ.ქსელი) ჩვენებით.
- კომპლექსის მშენებლობის კალენდალური გეგმა.

- კომპლექსში შემავალი ობიექტებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების კალენდარული გრაფიკები, მუშა ხელი მოძრაობის დიაგრამების ჩვენებით.
- სამუშაოთა წარმოების პროექტი ძნელად მისაღებ ადგილებში განთავსებული ნაგებობებისათვის (ხიდები, გადასახედები და ასე შემდეგ) უნდა დამუშავდეს დეტალური სამუშაოთა წარმოების პროექტი და ტექნოლოგიური რუკები სპეც სამუშაოებისათვის.

სპეციფიკაციების ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- გამოყენებული სამშენებლო მასალების, ნაკეთობების და მოწყობილობების ხარისხობრივი მახასიათებლების დეტალური აღწერა კომპლექსში შემავალი ყველა ობიექტისა და შენობა-ნაგებობებისათვის.
- სამშენებლო სამუშაოთა პროცესების ტექნოლოგიური თანმიმდევრობითი აღწერა მათი შესრულების ხარისხობრივი კონტროლის განხორციელების მიზნით, კომპლექსში შემავალი ყველა ობიექტისა და შენობა-ნაგებობებისათვის.
- ტესტირებას დაქვემდებარებული სამშენებლო მასალების, პროცესების და მოწყობილობა-დანადგარების გამოსაცდელი რეჟიმის და თანმიმდევრობის აღწერა კომპლექსში შემავალი ყველა ობიექტისა და შენობა-ნაგებობებისათვის.

სახარჯთაღრიცხვო ნაწილი, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს: სამშენებლო ობიექტების სატიტულო სიას და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ (გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება და სხვა).
 - მშენებლობის შენაკრები ხარჯთაღრიცხვა.
 - საობიექტო ხარჯთაღრიცხვები;
 - ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით.
- შენიშვნა:** როგორც ლოკალურ, ასევე კრებსით და საობიექტო ხარჯთაღრიცხვებში ცალ-ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს სამშენებლო მასალები ღირებულება, მუშათა ხელფასი, ზედნადები ხარჯები და გეგმიური დაგროვება.

ექსპლუატაციის პროექტის ნაწილი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- კომპლექსის და მისი ცალკეული ობიექტების საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯები ელექტროენერჯის შესყიდვაზე.
- კომპლექსის და მისი ცალკეული ობიექტების საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯები დიზელის საწვავის შესყიდვაზე (ენერგოუზრუნველყოფისათვის ავარიულ რეჟიმში).
- კომპლექსის და მისი ცალკეული ობიექტების საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯები სასმელი წყლის შესყიდვაზე.
- ძირითადი დანადგარების (გენერატორები, გათბობა-გაგრილების მოწყობილობები, ელ. ტრანსფორმატორები) ტექნიკური მომსახურების საშუალო წლიური ხარჯები.
- კომპლექსის და მისი ცალკეული ობიექტების საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯები დასუფთავების მომსახურებაზე და სანიტარულ უზრუნველყოფაზე.
- შენობების ძირითადი ელემენტებისათვის მიმდინარე შეკეთების პერიოდულობა და მათი ერთდროული ხარჯები.

- კომპლექსში შემავალი ობიექტებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების სავარაუდო ვარგისიანობის პერიოდის განსაზღვრა კაპიტალურ შეკეთებამდე.

შენიშვნა:

- საპროექტო-სახარჯთაღვრიცხო დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ელექტრონული (PDF და DWG) სახით ასევე ალბომის სახით, ეგზემპლიარების რაოდენობას განსაზღვრავს ხელშეკრულება.
- იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღვრიცხო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღვრიცხო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

მომსახურება ადგილობრივ სახელისუფლებო და კომუნალურ ორგანოებთან ურთიერთობაში მოიცავს:

- დოკუმენტაციის მომზადება ტექნიკური პირობების მოსაპოვებლად კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებიდან. (ელექტროენერგია, სასმელი წყალი, სატელეფონო და სატელევიზიო კავშირი, ინტერნეტ მომსახურება).
- დოკუმენტაციის მომზადებას “მნსგპ” (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების) მოსაპოვებლად შესაბამისი ორგანოებიდან.
- დოკუმენტაციის მომზადებას პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

მომსახურება სამშენებლო კომპანიის შესარჩევი ტენდერის მიმდინარეობის დროს მოიცავს:

- სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილის მომზადებას.
- შესასყიდი სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების უწყისის დამუშავებას.
- სატენდერო კომისიისათვის ახსნა განმარტებებისა და რეკომენდაციების გაცემას ტექნიკურ საკითხებში.

საავტორო ზედამხედველობის გაწევა მშენებლობის პერიოდში მოიცავს:

- სამშენებლო პროცესების გეგმიურ და არაგეგმიურ ინსპექტირებას. გეგმიური ინსპექტირება უნდა ჩატარდეს მინიმუმ 12 დღეში ერთხელ, ხოლო არაგეგმიური ინსპექტირება ტარდება დამკვეთის მოთხოვნით.
- ინსპექტირებისას აუცილებელია წარმოებდეს საავტორო ზედამხედველობის ჟურნალი, სადაც აისახება ინსპექტირების შედეგები. ჟურნალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამკვეთისათვის ნებისმიერ დროს.
- ფარული სამუშაოების კონტროლს და ფარულ სამუშაოთა აქტების შედგენაში მონაწილეობას და დამოწმებას.
- საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისას, ზედამხედველი ვალდებულია სამშენებლო პროცესების საპროექტო დოკუმენტაციასთან ყველა შეუსაბამობა და უზუსტობა დააფიქსიროს ჟურნალში და დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს.
- სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული საშემსრულებლო ნახაზების(დოკუმენტაციის) გადამოწმება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა დამკვეთისათვის.
- რეკომენდაციების და სპეციალური ტექნიკური დახმარების გაწევა სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში.

II თავი

დასაგეგმარებელი კომპლექსის დახასიათება.

- დასაგეგმარებელი ტერიტორია მდებარეობს: მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედლის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს მდ. აბაშის კანიონი, რომელიც წარმოადგენს მდ. აბაშის კანიონისებურ ერთერთ თვალწარმტაც ხეობას. სათავეში იგი რამდენიმე მნიშვნელოვანი ტოტისგან შედგება: რაჩხისგან, ხარჩულეთისგან, ტობისგან და სხვ. კანიონი განვითარებულია მდ. აბაშის მიერ მეზოზოური ერის ზედაცარცული პერიოდისა და სავარაუდოდ, პალეოცენური ნალექების გამორეცხვის შედეგად; მეოთხეულ პერიოდში იგი საკმაოდ ფართო, ბრტყელფსკერიანი ყოფილა, რომელიც ალუვიონით იყო მოფენილი. შემდგომში ტექტონიკურმა აზევებებმა შეცვალეს მდინარის მექანიკური მუშაობის პირობები და მან დაიწყო ზემოხსენებული ძველი ხეობის ფსკერში ახალგაზრდა კანიონის წარმოშობა. უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე აბაშის სათავეებში კანიონისებური ხეობების ფერდობებზე ვრცელდება მოვაკებული ზედაპირები. მისი შემდინარეთა კანიონები ძირითადად ზედაცარცულ კირქვებშია გამომუშავებული. ამ მდინარეთა შეერთების ადგილიდან სოფელ ბაღდამდე მდინარე აბაშა ქმნის ღრმა კანიონს, რომლის სიგრძე 2400 მეტრია, ხოლო სიღრმე 50-70 მ და 5-7 მ სიგანე აქვს. კანიონში მცირე ჩანჩქერები წარმოიშობა, დაახლოებით 12 -15 მ-ის სიმაღლის ვარდნისა. საერთო ფართობი შეადგენს 185 ჰექტარი. კანიონი იწყება აბჰესის მიდამოებში. მას. კანიონში ორ ადგილას არის შენახული კირქვის ბუნებრივი ხიდები, რაც იმის მანიშნებელია, რომ აქ ოდესღაც კარსტული მღვიმე ჩამოიშალა.

- დასაგეგმარებელი კომპლექსი მოიცავს შემდეგ ობიექტებს:

ვიზიტორთა ცენტრი, რომელიც შედგება ვიზიტორთა ცენტრის შენობისა და ეზოს ინფრასტრუქტურისაგან.

ვიზიტორთა ცენტრი უნდა მოიცავდეს შემდეგ სათავსებს:

- საგამოფენო დარბაზი, ეთნოგრაფიული მუზეუმით და ინტეგრირებული ინტერნეტ კაფით;
- სუვენირების გასაყიდი კუთხე;
- შემნახველი საკანი;
- საოფისე ოთახი (5 სამუშაო ადგილზე);
- საპირფარეშოები (ნორმების მიხედვით) მათ შორის უნარშეზღუდული პირებისათვის;
- სამეურნეო სათავსი;

ვიზიტორთა ცენტრის ეზოს ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს:

- ღია ავტოსადგომს
- ტერიტორიაზე შესასვლელთან ბუნების ძეგლის დასახელების ხის ბანერის მოწყობას;
- საბაღე სკამებს ტერიტორიაზე;

- ტერიტორიის განათების ქსელს;
- ტერიტორიის შემოღობვას და მთავარ შესასვლელ ჭიშკარს;
- გამწმენდ ნაგებობას;
- საგენერატორო მეურნეობას;
- სასმელი წყლის სამარაგო მეურნეობას;
- შიდა სამოედნო საინჟინრო ქსელებს (ელ.ქსელი, წყალსადენი, კანალიზაცია და სხვ.)

ტურისტული ეკობილიკის ინფრასტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი ნაგებობებისაგან:

- ეკოტურისტული საფეხმავლო ბილიკები;
- გადასასვლელი ხიდები;
- კლდეზე შეკიდული ბილიკები;
- საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები;
- პანორამული გადასახედები;
- კანიონში შესასვლელი და გასასვლელი ნაგებობები;
- ბილიკების (მიწისზედა და შეკიდული) და კანიონის მხატვრული განათების სისტემები;
- ნავმისადგომს, ნაგების შესანახი ფარდულით;
- წყლის დონეზე დაკვირვების დისტანციური სისტემები დამბაზე და კანიონში;

მისასვლელი გზა: ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან ვიზიტორთა ცენტრის ავტოსადგომამდე.

ღობე: კანიონის მიმდებარეთ არსებული სასაფლაოს გასწვრივ.

III თავი

პროექტირების ძირითადი პრინციპები.

საპროექტო კომპანიამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- შენობების გარე იერსახე უნდა იყოს ესთეტიურად დახვეწილი და მაქსიმალურად შერწყმული ადგილობრივ ლანდშაფტთან, ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შენობების განთავსების ადგილების სწორ შერჩევას.
- მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება და არსებული ლანდშაფტის ცვლილება.
- პროექტანტმა უნდა იხელმძღვანელოს მწვანე არქიტექტურის პრინციპებით. შენობები უნდა იყოს მაქსიმალურად ენერგო დამზოგავი, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი შენობების თბო დანაკარგები (თბო შენაკადები).
- გამოყენებული მასალები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, პრიორიტეტი მიენიჭოს ბუნებრივი მასალების გამოყენებას.
- შენობები უნდა შეესაბამებოდეს რეგიონის კლიმატურ პირობებს.
- კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობები უნდა იყოს მდგრადი და უზრუნველყოფდეს უსაფრთხო ექსპლუატაციას სესმიურ დატვირთვაზე.
- კომპლექსში შემავალი ობიექტების ენერგო რესურსებით უზრუნველყოფისას მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული განახლებადი ენერჯის წყაროების (მზის ენერჯია, ქარის ენერჯია და სხვა) გამოყენება.

- საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყოს კომპლექსში შემავალი ობიექტების მინიმალური საექსპლოატაციო მოვლა-პატრონობის ხარჯები.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ობიექტების საექსპლუატაციო მაქსიმალურად შესაძლებელი ვადა მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებამდე (რემონტამდე).
- გამოყენებული სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები საშუალებას უნდა იძლეოდნენ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების(რემონტის) ხარჯები.

პირველი ეტაპი. ესკიზური პროექტის დამუშავება, რომელიც მოიცავს:

- კომპლექსის გენერალური გეგმის ესკიზების დამუშავება.
- კომპლექსში შემავალი ობიექტების ტერიტორიის ათვისების გეგმების ესკიზების დამუშავება.
- ობიექტებისა და შენობა-ნაგებობების ესკიზური გეგმების დამუშავება.
- ობიექტებისა და მათში შემავალი შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი ვიზუალიზაციის დამუშავება (ეგრედ წოდებული რენდერების მომზადება მაღალი რეზოლუციით).
- დოკუმენტაციის დაკომპლექტება მსგავს (მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების) მოსაპოვებლად.
- ტექნიკური პირობების მოპოვება შესაბამისი კომუნალური სამსახურებიდან.
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული სქემების დამუშავება.
- ობიექტებისა და მათში შემავალი შენობა-ნაგებობების საინჟინრო ქსელების პროექტირებების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.
- საძიებო სამუშაოების განხორციელება.

მეორე ეტაპი. მუშა დოკუმენტაციის დამუშავება, რომელიც მოიცავს:

- ობიექტების ენერგო რესურსებით, სასმელი და ტექნიკური წყლით, კანალიზაციით, სატელეფონო-სატელევიზიო-ინტერნეტ კომუნიკაციებით უზრუნველყოფის წყაროების განსაზღვრა და შეფასება, აგრეთვე შესაბამისი წერილების მომზადება და გაგზავნა ტექნიკური პირობების დავალების მოსაპოვებლად შესაბამის სტრუქტურებში.
- ობიექტის მოთხოვნილების წინასწარი შეფასება ენერგო და სხვა რესურსებზე.
- მსგავს (მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების) მოპოვება.
- არქიტექტურული ნაწილის დამუშავება.
- კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება.
- ელექტრული ნაწილის დამუშავება.
- სუსტი დენების ნაწილის დამუშავება.
- სანტექნიკური ნაწილის დამუშავება.
- გათბობა, კონდიციონერება, ვენტილაციის ნაწილის დამუშავება.
- მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილის დამუშავება.
- სპეციფიკაციების ნაწილის დამუშავება.
- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის დამუშავება.
- დასრულებული სახით მუშა დოკუმენტაციის წარდგენა დამკვეთისადმი.

მესამე ეტაპი. ნებართვები და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, რომელიც მოიცავს:

- დოკუმენტაციის მომზადება პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.
- მომსახურება ზემოდაღნიშნული დოკუმენტაციის მოპოვების პროცესში.
- სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილის მომზადება.
- ტენდერის პირობებით შესასყიდი სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების უწყისის დამუშავება.
- ტენდერის მიმდინარეობისას სატენდერო კომისიისათვის ახსნა განმარტებებისა და რეკომენდაციების გაცემას ტექნიკურ საკითხებში.

მეოთხე ეტაპი. საექსპლუატაციო პროექტი და საავტორო ზედამხედველობა:

- ექსპლუატაციის პროექტის დამუშავება.
- საავტორო ზედამხედველობის გაწევა მშენებლობის მიმდინარეობისას.
- საპროექტო სამუშაოების დასრულება და მომსახურების დასრულებული სახით `დამკვეთისათვის` მიწოდება უნდა განხორციელდეს 2012 წლის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) თვის ვადაში.

შენიშვნა:

1. პროექტის მიმდინარეობის დროს მოეწყობა გეგმიური და არაგეგმიური განხილვები დამკვეთთან. გეგმიური განხილვები მოეწყობა ყოველი ეტაპის დასრულებისას, ხოლო მესამე ეტაპზე გეგმიური განხილვა დამატებით მოეწყობა ამ ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების 50% შესრულებისას. არაგეგმიური განხილვები შეზღუდული არ არის და შეიძლება მოეწყოს როგორც დამკვეთის, აგრეთვე პროექტანტის მოთხოვნით.

აგრეთვე შესაძლებელია ეტაპების სხვა გვარად გადათამაშება, სტრატეგიული მოთხოვნიდან და ვადებიდან გამომდინარე.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №_____

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „-----“ -----

2012 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ _____ (შემდგომში „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის (გასაწვეი მომსახურების) საერთო ღირებულება შეადგენს
ლარი

_____ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. შესასყიდი საქონლის (გასაწვეი მომსახურების) ერთეულის ფასი შეადგენს

_____ (ყოველთვიურად)

4.3. საქონელი მიწოდებული (მომსახურება გაწეული) იქნება შემდეგ მისამართზე:

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

ყოველდღიურად (ყოველთვიურად) განახორციელოს საქონლის მიწოდება (მომსახურება). იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად) ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოწოდებული ასაქონლის ვიზუალური მონაცემები არ იქნება შეცვლილი.

8.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველთან ვიზუალური მონაცემების შეთანხმების გარეშე მოახდინოს შესყიდვა.

8.3 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას და იღებს პასუხისმგებლობას საქონლის დაუზიანებლად ტრანსპორტირებაზე და ტრანსპორტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებაზე.

8.4 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს 8.1, 8.2, 8.3, მუხლების შესაბამისად დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა და გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება „მიღება-ჩაბარების“ აქტების გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში:

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით

შეტყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და

მოქმედებს _____.

(რიცხვი, თვე, წელი)

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და 2 აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: